46-ე ჩემპიონატის ფინიში

ცსკა - ”დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

მოსკოვი. ცსკა-ს დახურული მანეჟი. 6 ნოემბერი.

ცსკა: ნოვიკოვი, გალიამინი, სამოხინი, ბულგაკოვი, კუზნეცოვი, ნესტეროვი, აჯემი, პლოტნიკოვი, ტარხანოვი, კოლიადკო, ჩესნოკოვი (ბასოვი).

”დინამო”: აბუსერიძე, სვანაძე, ჩივაძე, უკლება, ჩიქოვანი, ჯოხაძე, ჩქარეული, სულაქველიძე, გოგრიჭიანი (კერესელიძე), ჟორჟიკაშვილი, გურული.

მსაჯი: მ. კუსენი (ლვოვი).

დუბლიორები - 2:0.

საკავშირო ჩემპიონატის ეს მატჩი არც მოსკოვის არმიელებს, არც თბილისის დინამოელებს პრაქტიკულად არაფერს აძლევდა, ვინაიდან გამარჯვების შემთხვევაშიც ორივე გუნდი ძველ ადგილზე რჩებოდა. ეტყობა, ამის გამო იყო, რომ თამაში უმეტესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა და თუ რამდენიმე სახიფათო მომენტს არ მივიღებთ მხედველობაში, რომლებიც მასპინძელთა კართან შეიქმნა, არსებითი უპირატესობა არც ერთ მხარეს არა ჰქონია.

მატჩის ბედი გადაწყდა მე-12 წუთზე, როცა დინამოელებმა კარგად გაითამაშეს საჯარიმო და ჩივაძემ ზუსტი დარტყმით აიღო ნოვიკოვის კარი - 1:0

შესვენების შემდეგ მოსკოველები ცდილობდნენ გამოესწორებინათ მდგომარეობა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ჩესნოკოვმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანიც, რომელიც დაინიშნა თბილისელთა კარში.

ეს თბილისის ”დინამოს” ერთადერთი გამარჯვებაა წლევანდელ ჩემპიონატში მეტოქის მინდორზე.

”ლელო”, 7 ნოემბერი, 1983 წ.